

საქართველოს კანონი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მუხლი 1. “სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ” საქართველოს კანონში (-საქანონმდებლო მაცნე .) შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ამ კანონით გათვალისწინებული სპეციალური მოთხოვნების დაცვით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების გადაცემა ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული შემდეგი ფორმებით

- ა) აღნაგობა,
- ბ) უზუფრუქტი,
- ც) თხოვება
- დ) ქირავნობა
- ე) იჯარა
- ვ) და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის უფლებით გადაცემის სხვა ფორმები.

2. მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“4. შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება:

ა) ვადით და სასყიდლით (სასყიდლიანი აღნაგობა, სასყიდლიანი უზუფრუქტი, ქირავნობა, იჯარა და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმები)

ბ) უსასყიდლოთ (აღნაგობა, უზუფრუქტი, თხოვება, რომელიც შეიძლება იყოს ვადიანი ან უვადო).

3. ამოღებული იქნას მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი.

4. მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“7. შენობა-ნაგებობების უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტის და თხოვების ფორმით გადაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით

5. მე-3 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“8. შენობა-ნაგებობები უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტის და თხოვების ფორმით კონკურსის (აუქციონის) გარეშე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ან მისი ტერიტორიული ორგანოს მიერ გადაეცემათ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს და იმ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ საწარმოებს, სადაც სახელმწიფო საკუთრებაშია წილის (აქციის) 50% ან 50%-ზე მეტი.

6. მე-3 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

“10 აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების, სასამართლო ხელისუფლების და პროკურატურის ორგანოები სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ფართებში განთავსდებიან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე

7. მე-3 მუხლის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

” 12. შენობა-ნაგებობების სასყიდლიანი უზუფრუქტის, ქირავნობის, იჯარის და სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული სხვა სარგებლობის ფორმით გადაცემისას წლიური საწყისი საიჯარო ქირა წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 ნოემბრის №671 ბრძანებულებით ”საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების საწყისი ფასის განსაზღვრის წესის შესახებ” განსაზღვრული საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების ღირებულების არანაკლებ 10%-ს.

8 ამოღებული იქნას მე-3 მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტები.

9. მე-3 მუხლის მე-16 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

“შენობა-ნაგებობების სასყიდლიანი უზუფრუქტის, ქირავნობის, იჯარის და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა სარგებლობის ფორმებით გადაცემა ხორციელდება კონკურსის ან აუქციონის ფორმით. შენობა – ნაგებობების კონკურსის ან აუქციონის ფორმით გადაცემის მიზანია სარგებლობის უფლება მიანიჭოს იმ იურიდიულ ან ფიზიკურ პირისათვის (პირებისათვის), რომელიც ყველაზე უკეთეს პირობებს შესთავაზებს სახელმწიფოს..

ხოლო იურიდიულ და ფიზიკურ პირებს კონკურსის (აუქციონის) გარეშე სასყიდლიანი უზუფრუქტის, ქირავნობის, იჯარის და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმებით გადაცემა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ მთავრობის განკარგულებით.”

2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე